

**ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008 (ეას 2008)
დანერგვა საქართველოში - მნიშვნელოვანი
ცვლილებები და გამოწვევები**

DOI - 10.36962/ecs105/9-10/2022-47

ლია ძევისაური
ეკონომიკის დოქტორი
თსუ-ს ასისტენტი-პროფესორი
Lia.Dzebisauri@tsu.ge

რეზიუმე

აქტიური გლობალიზაციის პირობებში, მისი მასშტაბების მუდმივად მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური კავშირები არნახული ტემპებით ღრმავდება და ვითარდება. ასეთ პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ამოცანაა ეკონომიკური მოვლენების მახასიათებელი სტატისტიკური მაჩვენებლების ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთიანი, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების გამოყენებით მიიღწევა. ერთ-ერთ ასეთ მეთოდოლოგიას, ეკონომიკის პირამიდის სათავეში მყოფი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს. ეას 2008-ის დანერგვა გათვალისწინებული იყო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით.

სტატიაში განხილულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი ვერსიის დანერგვით გამოწვეული მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორიცაა ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM), საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტის გაანგარიშების გაუმჯობესება, დაზღვევის გამოშვების გაანგარიშების ცვლილება, კვლევებსა და დამუშავებასთან (R&D) დაკავშირებული ხარჯების კაპიტა-

ლიზაცია და გამოწვევები, რაც უკავშირდება მეთოდოლოგიების, კლასიფიკაციების, საბაზო პერიოდის ცვლილებას და შედეგად ისტორიული დინამიკური მწკრივების გადაანგარიშებას.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008, ფინანსური მომსახურების არაპირდაპირი შეფასება (FISIM), დაუკვირებადი ეკონომიკა, კვლევები და დამუშავება.

ზოგადი მიმოხილვა

გაღრმავებული გლობალიზაციის პროცესი, მისი მასშტაბების მუდმივად მზარდი ტენდენციები, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური კავშირების არნახული ტემპებით ღრმავდება და ვითარდება, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური დღის წესრიგში მნიშვნელოვან ამოცანად ეკონომიკური მოვლენების მახასიათებელი სტატისტიკური მაჩვენებლების ურთიერთშესაღარისობის უზრუნველყოფას აყენებს. ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთიანი, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების გამოყენებით მიიღწევა. ერთ-ერთ ასეთ მეთოდოლოგიას, ეკონომიკის პირამიდის სათავეში მყოფი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს, რომელსაც სხვანაირად მაკროეკონომიკურ ანგარიშებად მოიხსენიებენ. ის ფოკუსირებულია ეკონომიკის სტრუქტურასა და ევოლუციაზე.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) წარმოადგენს ინტეგრირებული მაკროეკონომიკური ანგარიშების, ბალანსებისა და ცხრილების ერთიან სისტემას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ ცნებებს, განმარტებებს, კლასიფიკაციებს და აღრიცხვის წესებს. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა გვთავაზობს კონცეპტუალურ მიდგომებსა და ჩარჩოებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებისათვის, ქმნის ინფორმაციულ ბაზას ეკონომიკის მდგომარეობის ყოვლისმომცველი ანალიზისთვის. ის მოიცავს მაკროეკონომიკური ანგარიშების ერთობლიობას, რომელსაც იყენებს მთავრობა, ბიზნესი და საერთაშორისო ორგანიზაციები ანალიზის, კვლევისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის.

მსოფლიოში ყველა პროცესი, მათ შორის ეკონომიკურიც, მუდმივად იცვლება და ვითარდება. შესაბამისად, მის დასახსნათებლად საჭირო თეორიულ-პრაქტიკული მიდგომებიც ცვლილებას ექვემდებარება და პერიოდულად გადახედვას საჭიროებს.

2008 წელს გაერომ, ევროკომისიამ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ ერთობლივად გამოსცეს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი ვერსია - „The System of National Accounts, 2008“ (2008 SNA). ის ემსახურებოდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის არა ფუნდამენტურ ცვლილებას, არამედ 1993 წლის ვერსიის (1993 SNA) განახლებას, რომელიც შეიქმნა იმავე ხუთი ორგანიზაციის ეგიდით. ეს განახლება უკეთ ასახავს ცვლილებებს ეკონომიკურ ლანდშაფტში, რომელმაც მიიპყრო ანალიტიკოსების ყურადღება და მიღწევებს მეთოდოლოგიურ კვლევებში, მონაცემთა წყაროებში და ანგარიშების შედგენის მეთოდებში.

დროული, შესადარისი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია, რომელიც ეროვნულ ანგარიშებშია ასახული, მნიშვნელოვანი ინტელექტუალური აქტივია ნებისმიერი ქვეყნისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჩარჩო ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის გასაზომად. დროული, ობიექტური და მიუკერძოებელი ეროვნული ანგარიშები ფისკალური, მონეტარული და სამრეწველო პოლიტიკის შემქმნელებს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობისთვის საჭირო ეფექტიანი პოლიტიკის შესამუშავებლად. და ბოლოს, ეროვნული ანგარიშების ინფორმაცია არის საზოგადოებრივი სიკეთე, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი ეროვნული ეკონომიკის კონტექსტში. ფაქტობრივად ეროვნულ ანგარიშთა სისტემა სტატისტიკის სფეროში ეკონომიკის შესწავლის უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს.

ნებისმიერი აქტივის მსგავსად, ეროვნული ანგარიშები დროის შესაბამისად განიცდის ცვლას. ამიტომ ძალზედ მნიშ-

ენელოვანია ამ მიმართულებით პერიოდულად ახალი ინვესტიციების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის ინფორმაციის მიწოდება.

რადგანაც ეას ემყარება ეროვნულ ანგარიშიანობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო პრაქტიკას, იგი უზრუნველყოფს ინფორმაციის მოპოვების ხერხების, ასევე, ეკონომიკური საქმიანობისა და მისი შედეგების აღრიცხვის მეთოდების ერთიანობას სხვადასხვა ქვეყანაში. სტატისტიკური მეთოდოლოგიის ერთიანობა კი განაპირობებს ყველა ქვეყნის მაჩვენებელთა შესადარისობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს საერთაშორისო შედარებების მექანიზმსა და საიმედოობას მსოფლიოს მასშტაბით. ბუნებრივია, აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა ჩვენი ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავაღრმავოთ ეკონომიკური თანამშრომლობა დანარჩენ მსოფლიოსთან. საქართველოში ეას 2008-ის დანერგვის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, ის გათვალისწინებული იყო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს სტატისტიკის სისტემის თანდათანობით დაახლოებას ევროპის სტატისტიკურ სისტემასთან უახლესი საერთაშორისო მეთოდოლოგიებისა და განახლებული სტანდარტების დანერგვის გზით.

2008 წლის ეას-ის დანერგვამ ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყო ქვეყნის ეროვნული ანგარიშების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და უახლეს მეთოდოლოგიასთან და ამასთანავე, ხელი შეუწყო ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესადარისობას საერთაშორისო დონეზე. ასევე განხორციელდა ეას-ის ჰარმონიზაცია საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოს (BPM6) კონცეფციებსა და კლასიფიკაციებთან.

გადასინჯვა დაიწყო 2003 წელს. ხანგრძლივი დისკუსიების, ექსპერტთა შეხვედრების, მოსაზრებების გაცვლის და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების მეთოდოლოგიურ კონტექსტში გარდასახვის შედეგად, 2009 წლის ბოლოს

გამოიცა SNA 2008-ის საბოლოო ვერსია. 2009 წლიდან მსოფლიოს ქვეყნებმა დაიწყეს ეას-ის 2008 წლის ვერსიის დანერგვა პრაქტიკაში, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2014 წელს. თუმცა ეს არ იყო მარტივი პროცესი, ის სავეს იყო მთელი რიგი გამოწვევებით. ახალი მეთოდოლოგიის დანერგვაში მნიშვნელოვანი იყო მთავრობის წარმომადგენლებისა და მონაცემთა მომხმარებლების აქტიური ჩართულობა. ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლის სირთულეს მოწმობს ის ფაქტიც, რომ ისეთი მაღალი დონის სტატისტიკის სისტემის მქონე ქვეყნებში, როგორიც არის იაპონია და თურქეთი, ეას-ის ახალი მეთოდოლოგია დაინერგა მხოლოდ 2015 წლის ბოლოს. რაც შეეხება საქართველოს, ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლის მოსამზადებელი სამუშაოები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, 2017 წლიდან მიმდინარეობდა ცვლილებების მასშტაბიდან გამომდინარე. ეას-ის 2008 წლის ვერსიის დანერგვა შესაძლებელი გახდა 2019 წლის ბოლოსთვის, ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელებული TWINNING-ის 2 წლიანი პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ პროცესში აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), ასევე, დაიწყო და ჩეხეთის სტატისტიკის სამსახურები.

ეას-ის ახალ ვერსიაში 50-ზე მეტი ცვლილება შევიდა. ცვლილებები განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით: გაანგარიშების განახლებული მეთოდები, მონაცემთა წყაროების გაუმჯობესება, საერთაშორისო მიდგომის დანერგვა ეკონომიკის მოცვასთან დაკავშირებით და სხვა მეთოდოლოგიური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც მოიცავს ახალი კლასიფიკაციების დანერგვას, გადასახადების აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდის გამოყენებას, საბაზისო პერიოდის ცვლილებას (2010 წლის ნაცვლად საბაზისო პერიოდის ნაცვლად გამოყენებულია 2015 წელი) და სხვა.

საერთაშორისო სტანდარტში არსებული ცვლილებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის დონეზე, განვიხილოთ საქართველოს მაგალითზე. გაანგარიშების განახლებული მეთოდები დაინერგა შე-

მდეგი მიმართულებით:

- ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) ცვლილება;
- საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტის გაანგარიშების გაუმჯობესება;
- დაზღვევის გამოშვების გაანგარიშების ცვლილება;
- კვლევებსა და დამუშავებასთან (R&D) დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია.

თანმიმდევრობით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ეას 1993 მეთოდოლოგიის მიხედვით, FISIM განიხილებოდა, როგორც შუალედური მოხმარება. 2008 წლის ეას-ში მის გამო-სათვლელად რეკომენდებული მეთოდი გულისხმობს რამდე-ნიმე ცვლილებას, მაგალითად, FISIM ეხება მხოლოდ იმ სესხებსა და დეპოზიტებს, რომლებიც ფინანსური ინსტიტუტების მიერ არის მოწოდებული/დეპოზიტირებული, და რომ ფინანსური შუ-ამავლებისთვის შედის ყველა სესხი და ანაბარი და არა მხოლოდ შუამავალი სახსრების სესხები. შესაბამისად, SNA 2008-ში FISIM კლასიფიცირდება საბოლოო და შუალედურ მოხმარებაზე.

შუალედურ მოხმარებას FISIM წარმოადგენს შემდეგი ინსტი-ტუციური სექტორებისთვის: ფინანსური სექტორი, არაფინან-სური სექტორი, შინამეურნეობების სექტორის ნაწილი (ბიზნე-ს-სესხი, იპოთეკური სესხი).


საბოლოო მოხმარებად FISIM ითვლება შემდეგი ინსტიტუ-ციური სექტორებისთვის: შინამეურნეობების მომსახურე არა-კომერციული ორგანიზაციების (შმაკო) სექტორი, სახელმწიფო სექტორი, შინამეურნეობების სექტორის ნაწილი (ავტო სესხი, სამომხმარებლო სესხი, სხვა სესხი გარდა ბიზნეს და იპოთე-კური სესხისა).

ფინანსური მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) დინამიკური მწკრივების გადაანგარიშების შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (დიაგრამა 1).

დიაგრამის მიხედვით, ძველი სტანდარტის თანახმად, 2018 წელს ფინანსური შუამავლობის მომსახურება შეფასებული იყო 685 მილიონი ლარის ფარგლებში და იგი მთლიანად კლასიფი-

დიაგრამა 1.

ფინანსური მომსახურების არაპირდაპირი შეფასება
(FISIM) (მლნ. ლარი) წყარო: საქსტატი.




ცირდება როგორც შუალედური მოხმარება, ხოლო ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით კი მისი მოცულობა განისაზღვრა 2 130 მილიონი ლარით, საიდანაც 700 მილიონი ლარი გადაკვალიფიცირდა როგორც საბოლოო მოხმარება, ხოლო 1 360 მილიონი ლარი დარჩა შუალედურ მოხმარებაში.

SNA 2008-ის მიხედვით, საკუთარი საცხოვრისის მიერ შექმნილი მომსახურება ექცევა წარმოების საზღვრებში, რასაც საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტა ეწოდება.

განახლებულ მაჩვენებლებში საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშება, თვითშეფასების მეთოდის ნაცვლად, ხორციელდება მომხმარებლის დანახარჯების მეთოდით (შუალედური მოხმარება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება და საოპერაციო მოგება, გადასახადები წარმოებაზე). საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტის წილი მშპ-ში წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 2). აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ახალი მიდგომის მიხედვით, 2018 წელს საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა დაახლოებით შეადგენს 3 300 მილიონ ლარს, ნაცვლად 993 მილიონი ლარისა.

დიაგრამა 2.

საკუთარი საცხოვრისის გამოყენების
პირობითი რენტის წილი მშპ, (%) წყარო: საქსტატი.



ეას 2008 მეთოდოლოგიის მიხედვით დაზღვევის გამოშვების გაანგარიშებაშიც შევიდა ცვლილება და ახალი სტანდარტით გამოშვების გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

გამოშვება = მიღებული პრემია + პრემიის დანამატი (რეზერვებიდან მიღებული შემოსავალი) - კორექტირებული ანაზღაურებული ზარალი

არსებული გაანგარიშებით, 1993 წლის ვერსიაში, რეზერვებიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინება არ ხდებოდა. ეას 2008-ის რეკომენდაციით, კატასტროფის შედეგად განსაკუთრებით დიდი ზარალის ასახვა უნდა მოხდეს კაპიტალურ ტრანსფერებში, რაც გავლენას ვერ ახდენს გაანგარიშებულ გამოშვებაზე, თუმცა ასახვას ჰპოვებს განკარგავადი შემოსავლის (განსაკუთრებით სექტორულ) შეფასებებზე. გადაზღვევის გამოშვების გაანგარიშებაც ხდება დაზღვევის ანალოგიურად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება დაკავშირებულია ინვესტიციების განსაზღვრასთან. ეას 1993 მიხედვით, კვლევებსა და დამუშავებაზე (R&D) განეული ხარჯები ითვლებოდა შუალედურ მოხმარებად, ხოლო 2008 წლის ვერსიის თანახმად, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება, როგორც ინვესტიციები ძირითად კაპიტალში. ეას 2008-ის მიხედვით, კვლევებსა და განვითარე-

ბაზე, ასევე იარაღის სისტემებზე (სამხედრო გემები, წყალქვეშა ნავები, სამხედრო თვითმფრინავები, ტანკები და ა.შ.) განუღი ხარჯები შედის მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირებაში. ეს არის იმის აღიარება, რომ ამ პუნქტებზე განუღი ხარჯები გრძელვადიან მომსახურებას უწევს ბიზნესს, არაკომერციულ დაწესებულებებს და მთავრობებს, რომლებიც მათ იყენებენ. ის დროთა განმავლობაში ზრდის მშპ-ს დონეს.

R&D როგორც კაპიტალური აქტივი, წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას ეთგო-ს ყველა ქვეყნისთვის 2008 წლის ეას-ში მშპ-ს დონეზე. მთავრობისთვის კაპიტალიზაციის პირდაპირი გავლენა ძირითადად მოიცავს ხარჯების გადანაწილებას მთავრობის საბოლოო მოხმარებიდან მთავრობის მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირებაზე. არაპირდაპირი გზით, მთავრობის გამოშვება გაიზრდება და შესაბამისად გაიზრდება მშპ-ც, რადგან მთავრობის ხარჯების ნაწილი მოიცავს ცვეთის ანაზღაურებას, რომელიც ახლა მოიცავს მთავრობის მიერ R&D კაპიტალის მარაგის კომპონენტს.

სამხედრო შეიარაღების სისტემები, როგორიცაა მანქანები, საბრძოლო გემები და სხვა, მუდმივად გამოიყენება თავდაცვის და შემაკავებელი მომსახურებების წარმოებაში, 2008 წლის ეას-ში აღიარებულია, როგორც ძირითადი საშუალებები. 1993 წლის ეას მათ აღრიცხავდა როგორც ძირითად საშუალებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორმაგი სამოქალაქო გამოყენება ჰქონდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღრიცხებოდა როგორც შუალედური მოხმარება. ზოგიერთი ერთჯერადი გამოყენების საგნები, როგორიცაა გარკვეული ტიპის ბალისტიკური რაკეტები ძალზე დესტრუქციული შესაძლებლობით, მაგრამ რომლებიც ახორციელებენ მუდმივ შემაკავებელ მომსახურებას, ასევე აღიარებულია, როგორც ძირითადი საშუალებები 2008 წლის ეას-ში, რადგან ამ ხარჯების უმეტესობის განევა ხორციელდება მთავრობის მიერ.

ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის გათვალისწინებით მოხდა კვლევებსა და დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯის (დაახლოებით 90 მილიონი ლარის) კაპიტალიზაცია, რაც შესა-

ბამისაც აისახა მშპ-ის მოცულობაშიც.

ეას 2008 დანერგვასთან დაკავშირებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების ფაქტორიც. ამ მხრივ აღსანიშნავია:

- შუალედური მოხმარების სტრუქტურის განახლება სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე, რაც გულისხმობს გამოკვლევის შედეგების გამოყენებას, ფიქსირებული კოეფიციენტების ნაცვლად;

- დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური გამოკვლევა სხვადასხვა სექტორში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, სასტუმროები და რესტორნები;

- არალეგალური საქმიანობის (პროსტიტუცია, ნარკომანია) გამოშვების გათვალისწინება მშპ-ში;

- ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევა.

მეთოდოლოგიური ხასიათის სხვა ცვლილებებიდან აღსანიშნავია ახალი კლასიფიკაციების გამოყენება, როგორებიცაა: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორი (NACE Rev.2) და პროდუქციის კლასიფიკაცია საქმიანობის სახეების მიხედვით (CPA 2008); მშპ-ს გაანგარიშების დაფუძნება რესურსებისა და გამოყენების ცხრილებზე; დეფლირების დროს გამოყენებული ფასების ინდექსების წყაროების გაუმჯობესება; გადასახადების აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდის გამოყენება (რაც განპირობებული იყო საგადასახდელო ბალანსის კონცეფციებთან შესაბამისობით) და საბაზისო პერიოდის ცვლილება (2015 წელი გახდა საბაზისო წელი 2010 წლის ნაცვლად).


ახალი მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების დანერგვის დროს, ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად გვევლინება შესაბამისი მაჩვენებლების დროითი მწკრივების უწყვეტობის უზრუნველყოფა. მრავალი თვალსაზრისით, ეროვნული ანგარიშების მონაცემები წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. ქვეყანას ორი ძირითადი არჩევანი აქვს: მას შეუძლია ან ხელახლა დაწეროს ისტორია ახალი სტანდარტის მიხედვით, ან მომხმარებლებს

აცნობოს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ეკონომიკური ისტორია განიხილება როგორც ახალი ობიექტი და შეუძლებელია ისტორიის ერთიანი სურათის დანახვა. რა თქმა უნდა, მომხმარებლებისათვის უფრო მისაღებია უწყვეტი და თანმიმდევრული დროითი მწკრივის არსებობა, რაც უფრო ამარტივებს მის გამოყენებას ეკონომიკურ მოდელირებაში. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პროცესი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელთა შორის აღსანიშნავია წვდომა მონაცემთა განახლებული წყაროების ისტორიულ მწკრივებზე. ასეთ შემთხვევაში მათ სჭირდებათ მოდელის შემუშავება, რომლებიც ახალ ცნებებსა და მეთოდოლოგიებს ისტორიულ რაკურსში გადაიტანს.

წინა პერიოდის მაჩვენებლებთან ჰარმონიზების მიზნით, საქართველომ განახორციელა ისტორიული მწკრივის გადაანგარიშება 2010 წლიდან. ახალი მეთოდოლოგიის დანერგვამ და ზემოაღნიშნულმა განახლებებმა ცვლილებები გამოიწვია მშპ-ს მთლიან მოცულობაში. დიაგრამა 3 გვიჩვენებს 1993 და 2008 წლის ვერსიებით დათვლილ მშპ-ს მოცულობას.

დიაგრამა 3.

მშპ მიმდინარე ფასებში (მლრდ. ლარი) წყარო: საქსტატი.




როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, ეას 2008-ს და-ნერგვა განაპირობებს მშპ-ის და ეროვნული ანგარიშების სხვა

აგრეგატების საერთო დონის ზრდას. ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლის შედეგად მშპ-ის მაჩვენებელი საქართველოშიც გაიზარდა 2010 წელს 5.2%-ით, 2015 წელს დაფიქსირდა - 6.9%-იანი ზრდა, ხოლო 2018 წელს - 8.4 %-იანი ზრდა. ბოლო მაჩვენებელიდან მეთოდოლოგიურ ცვლილებებზე მოდის 3.0%, სტატისტიკური წყაროს გაუმჯობესებაზე კი - 5.4 %.

ეას-ის ახალ ვერსიაზე გადასვლის შედეგად მშპ-ს რეალურ ზრდაში არსებულ პროცენტულ ცვლილებებს უფრო თვალსაჩინოდ ასახავს დიაგრამა 4:

დიაგრამა 4.
მშპ-ს რეალური ზრდა, % წყარო: საქსტატი.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, რეალურ ზრდაში განსხვავება უმნიშვნელოა და 0.1-0.2%-ის ფარგლებში მერყეობს.

ახალი მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების დანერგვის და აქედან გამომდინარე ისტორიული დინამიკური მწკრივების გადაანგარიშების დროს, კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მომხმარებლების ინფორმირება ყველა სახის ცვლილების შესახებ, ასევე, როგორი გავლენა მოახდინა თითოეულმა ცვლილებამ ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკის აქტიური გლობალიზაციის კვალდაკვალ, 2008 წლის ეას-ის დანერგვამ ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყო ქვეყნის ეროვნული ანგარიშების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და უახლეს მეთოდოლოგიასთან და ამასთანავე, ხელი შეუწყო ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესადარისობას საერთაშორისო დონეზე.

ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლის მოსამზადებელი სამუშაოები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა და ეას-ის 2008 წლის ვერსიის დანერგვა შესაძლებელი გახდა 2019 წლის ბოლოსთვის, ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელებული TWINNING-ის 2 წლიანი პროექტის ფარგლებში.

ეას-ის ახალ ვერსიაში ცვლილებები განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით: გაანგარიშების განახლებული მეთოდები, მონაცემთა წყაროების გაუმჯობესება, საერთაშორისო მიდგომის დანერგვა ეკონომიკის მოცვასთან დაკავშირებით და სხვა მეთოდოლოგიური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც მოიცავს ახალი კლასიფიკაციების დანერგვას, გადასახადების აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდის გამოყენებას, საბაზისო პერიოდის ცვლილებას და სხვა.

ცვლილებებს ახლდა გარკვეული გამოწვევებიც. მათ საპასუხოდ, მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო საზოგადოების და დარგის ექსპერტების აქტიური ჩართულობა ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესში.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მეთოდოლოგიების ცვლილება და მათი პრაქტიკაში დანერგვა მიმდინარე პროცესია, რომლითაც ქვეყანა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისკენ მიისწრაფვის. ეს კი სასიცოცხლოდ აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრაციის უწყვეტობის და მომავალი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

2. მარინე მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ლექციების კურსი ბაკალავრებისთვის. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა, 2018, 266 გვ. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/eas.pdf

3. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემა (ინგლისურიდან თარგმანი), ელექტრონული ვერსია, 2015, 606 გვ. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/119/national-accounts>

5. Michael Davie, The measurement of financial services in the national accounts and the financial crisis, pg. 357, <https://www.bis.org/ifc/publ/ifcb33aj.pdf>

6. New standards for compiling national accounts: what's the impact on GDP and other macro-economic indicators? by Peter van de Ven, <https://www.oecd.org/sdd/na/new-standards-for-compiling-national-accounts-SNA2008-OECDSEB20.pdf>

7. Peter van de Ven, Methodological Challenges of SNA 2008 and ESA 2010, pg. 9, <https://www.statistics.gov.hk/wsc/STS040-P5-S.pdf>

8. SNA 2008. European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Cooperation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009. <https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf>

9. The 2008 SNA - compilation in brief, World Bank, <https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/>

10. 2008 SNA update issues, <https://unstats.un.org/UNSDWebsite/>
11. <https://www.oecd.org/sdd/na/sna-2008-main-changes.htm>

REFERENCES:

1. Association agreement between the EU and Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>
2. Marine Mindorashvili. System of National Accounts. Course of Lectures for Bachelors. TSU Faculty of Economics and Business, Department of Economic and Social Statistics, 2018, 266 pg. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/eas.pdf
3. François Lequiller, Derek Blades, System of National Accounts: Understanding National Accounts. Second Edition (Translated from English), Electronic version, 2015, 606 pg. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf
4. National Statistics Office of Georgia, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/119/national-accounts>
5. Michael Davie, The measurement of financial services in the national accounts and the financial crisis, pg. 357, <https://www.bis.org/ifc/publ/ifcb33aj.pdf>
6. New standards for compiling national accounts: what's the impact on GDP and other macro-economic indicators? by Peter van de Ven, <https://www.oecd.org/sdd/na/new-standards-for-compiling-national-accounts-SNA2008-OECDSEB20.pdf>
7. Peter van de Ven, Methodological Challenges of SNA 2008 and ESA 2010, pg. 9, <https://www.statistics.gov.hk/wsc/STS040-P5-S.pdf>
8. SNA 2008. European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Cooperation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009. <https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf>
9. The 2008 SNA - compilation in brief, World Bank, <https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/>
10. 2008 SNA update issues, <https://unstats.un.org/UNSDWebsite/>
11. <https://www.oecd.org/sdd/na/sna-2008-main-changes.htm>

IMPLEMENTATION OF 2008 SYSTEM OF NATIONAL ACCOUNTS (2008 SNA) IN GEORGIA – MAIN CHANGES AND CHALLENGES

Lia Dzebisauri

PhD in Economics

Assistant Professor at Ivane Javakhishvili

Tbilisi state university (TSU)

Lia.Dzebisauri@tsu.ge

RESUME

In the process of active globalization, an important task of the economic agenda of any country is to ensure mutual comparability of statistical indicators. This can be achieved through the implementation of internationally approved methodologies and modern standards. The System of National Accounts is at the top of the economic pyramid. The implementation of SNA 2008 was envisaged by the Association Agreement with the European Union.

In 2008, the United Nations, European Commission, International Monetary Fund, World Bank and the Organization for Economic Cooperation and Development jointly released The System of National Accounts, 2008 (2008 SNA). This update better reflects the changing economic landscape and the advances in methodological research, data sources and compilation methods and provides clarification on a number of issues not clearly stated in the 1993 SNA.

Timely, relevant and comprehensive national account information is a significant intellectual asset for any country, and serves important functions. Like any asset the national accounts depreciate with time. Therefore, periodic new investments are crucial, to ensure that they continue to provide high quality services to their users. Implementing 2008 SNA improved the relevance of a country's national accounts information.

In the new version of SNA, changes were introduced in various directions: updates in calculation methods, improvement of data sources, introduction of an international approach to the coverage

of the economy and other methodological changes, which include the introduction of new classifications, the use of the accrual method for taxes, a change in the base period (instead of 2010, the base period 2015 is used instead of the period) and many others.

Updated calculation methods were introduced in the following direction: Changes in the Financial Intermediation Services Indirectly Measured (FISIM); Improving the calculation of Imputed Rent of Own Occupied Dwellings; Capitalization of costs related to Research and Development (R&D) and others.

The factor of improving the data source should also be emphasized. In this regard, it is worth noting: updating the structure of intermediate consumption on the basis of a special surveys; Special survey conducted in various sectors of economy, such as agriculture, construction, hotels and restaurants and ect. Other methodological changes include also the use of new classifications, change of the base year (2015 instead of 2010).

During the implementation of new standards and methodologies, many countries face a number of challenges. In many ways, national accounts data represent an important part of a country's economic history. Of course, it is more acceptable for users to have a continuous and consistent time series, which simplifies its use in economic modeling. However, as already mentioned, this process is associated with certain difficulties, among which access to historical rows of updated data sources is noteworthy. In such cases, they need to develop models that put new concepts and methodologies into historical perspective.

In order to harmonize with the indicators of the previous period, Georgia has recalculated the historical data series since 2010. The introduction of the new methodology and the above-mentioned updates caused changes in the total volume of GDP.

During the implementation of new methodologies and standards, and therefore the recalculation of historical dynamic series, another important challenge is to inform users about all changes and how each change affected the main macroeconomic indicators. At the

same time, users should understand that the change of methodologies and their implementation in practice is an ongoing process by which the country strives to comply with international standards. This is vitally necessary to ensure continuity of the country's integration into the world economic system and future sustainable development.

Keywords: The System of National Accounts 2008, Financial Intermediate Service Indirectly Measured (FISIM), Non-observed economy, Research and Development (R&D).